რა მოსწონთ მოსწავლეებს

ავტორი ნესტან მიქაძე

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგანთა სწავლა-სწავლების მიზანია მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება, აქტიური პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა. მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს უნდა განუვითარდეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები: პასუხისმგებლობა, პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარები, ეთიკური ნორმების დაცვა, მეწარმეობის, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა, დროსა და სივრცეში ორიენტირება, სწავლის სწავლა – დამოუკიდებლად საქმიანობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. მეტად მნიშვნელოვანია კვლევითი უნარების განვითარება.

ამ მიზნების მიღწევა წარმოუდგენელია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების გარეშე. მასწავლებელი უნდა იკვლევდეს საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს.

გასული სასწავლო წლის გაზაფხულზე ჩავატარე სკოლის საჭიროების კვლევა. კვლევის მიზანი გახლდათ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება სასწავლო პროცესში დასაგეგმი აქტივობების გასათვალისწინებლად. მრავალფეროვანი სასწავლო მიდგომების განხორციელება მნიშვნელოვანია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. ჩემი კვლევის მიზანი გახლდათ, გამერკვია, რა მოსწონთ მოზარდებს, სწავლების რომელ ფორმაზე გავამახვილო ყურადღება მომავალში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის და სურვილის გათვალისწინებით.

კვლევის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა გახლდათ:

რომელ აქტივობას ანიჭებთ უპირატესობას საკუთარი შეხედულების გათვალისწინებით?

ა) კომპლექსური დავალებები

ბ) STEM პროექტი „ჩხირკედელა“

გ) ინტეგრირებული გაკვეთილები

დ) პროექტებით სწავლება

ე) მოსწავლეთა კონფერენციები

ვ) საწრეო -საკლუბო მუშაობა

ზ) სახალისო კონკურსი „მოაზროვნე“

წარმოგიდგენთ გამოკითხვის შედეგებს წრიული დიაგრამის საშუალებით:



სურათზე ხედავთ პროცენტულად როგორ გადანაწილდა მოსწავლეთა მიერ შერჩეული პრიორიტეტული სწავლების ფორმები. ამ შედეგებით ბევრი მიმართულებით შეიძლება ანალიზის გაკეთება. პირველი და უმნიშვნელოვანესი გახლავთ მოსწავლეთა ინკლუზიური შესაძლებლობები. მოზარდი სწავლების იმ ფორმას ანიჭებს უპირატესობას, რაც მის ინტერესებს ყველაზე მეტად ესადაგება.

კვლევაში მონაწილეობდა 63 მოზარდი.

მოსწავლეთა 22%-ს ყველაზე მეტად მოსწონს კომპლექსური დავალებებით მუშაობა. ეს შედეგი არ გახლავთ შემთხვევითი. ეროვნული სასწავლო გეგმაში განისაზღვრა პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფცია, სწავლა-სწავლების 5 პრინციპი. კომპლექსური დავალება გახლავთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალება. მოსწავლეებს ეძლევათ შემოქმედებითი უნარების გამოხატვის თავისუფლება. სწორედ ამით არის ორიგინალური და განსაკუთრებული მოსწავლეზე ორიენტირებული – ახალი სკოლის მოდელი. ეს სწორედ ის პრინციპებია, რომელთა სასწავლო პროცესში განხორციელების გარეშეც წარმოუდგენელია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მიღწევა. სწავლა-სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოზარდის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. შემეცნების პროცესში უმნიშვნელოვანესია მოდალობების გათვალისწინება. არსებობს მოდალობის ოთხი ძირითადი ტიპი: ვიზუალური, სმენითი, კინესთეტური და ციფრული. განათლების სისტემის ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება ინკლუზიური საჭიროებების სრულყოფილად გათვალისწინება, რაც დაკავშირებულია უამრავ, მათ შორის ფინანსურ პრობლემებთან.

ჩვენს რეალობაში კომპლექსური დავალებები გახლავთ ყველაზე მოსახერხებელი ფორმა დიფერენცირებული მიდგომების გასათვალისწინებლად. მრავალფეროვანი დავალებებიდან მოსწავლე აუცილებლად პოულობს აქტივობის ფორმას, რაც მას მოსწონს და შეუძლია. შესაბამისად, არცერთი მოზარდი არ რჩება სასწავლო პროცესის მიღმა. სწორედ ამიტომ მოსწონთ მოსწავლეებს კომპლექსური დავალებებით მუშაობა.

მომავალში პედაგოგებს გვმართებს მეტი ძალისხმევა სწავლების პროცესში კომპლექსური დავალებების უფრო აქტიურად დასანერგად.

მოსწავლეთა 18% უპირატესობას ანიჭებს საწრეო და საკლუბო მუშაობას. სასკოლო კლუბებისა და წრეების ძირითად მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთათვის წარმოშობილი პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა. არაფორმალური განათლების მიწოდების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება უშუალო გარემოს შექმნას, მონაწილეთა დაახლოებასა და უკეთ გაცნობას, მათი ძლიერი მხარეების, მისწრაფებების გამოკვეთას. ამ კუთხით დიდ როლს თამაშობს მრავალფეროვანი აქტივობებით დატვირთული სასკოლო წრეები და კლუბები.

არაფორმალური გარემო მეტად უწყობს ხელს მოსწავლეთა დამეგობრებას, საერთო ინტერესების გამოკვეთას, რაც ეხმარებათ მათ ერთად დაგეგმონ და განახორციელონ მიზანმიმართული და პროდუქტიული საქმიანობა. ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისათვის.

მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავად მოიძიონ და დაახარისხონ საჭირო ინფორმაცია. მოზარდს შეუძლია თავად აირჩიოს საგანი, რომელშიც არაფორმალურ გარემოში მეტად გაიღრმავებს ცოდნას. არასაგაკვეთილო პროცესში მას შეუძლია მეტი დრო დაუთმოს მისთვის პრიორიტეტულ და საინტერესო საკითხების დასწავლას.

გამოკითხულ მოსწავლეთა ასევე 18%-
ისთვის პრიორიტეტულია სკოლაში STEM კლუბების მუშაობა. განათლების სისტემას უწევს ადაპტირება საზოგადოების ახალ ტენდენციებსა და საჭიროებებთან. ინოვაციური ტექნოლოგიების გაჩენასთან ერთად აუცილებელი ხდება მომავალმა თაობამ ისწავლოს ციფრული ტექნოლოგიებით გარშემორტყმულ საგანმანათლებლო გარემოში. STEM განათლება ეს არის ახალი თაობების მომზადება, რათა მათ შეძლონ ივარჯიშონ ისეთ სამუშაოებზე, რაც სამომავლოდ დაეხმარებათ იმ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ადაპტირებაში, რასაც ძალიან სწრაფად გვთავაზობს ჩვენი საუკუნე. STEM განათლება არის ბავშვების მომავლის გასაღები – მოზარდები სწავლობენ გუნდურ მუშაობას, ერთობლივად გადაწყვეტილებების მიღებას, უვითარდებათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის და გამომგონებლობის უნარები.

STEM სწავლება ასტიმულირებს მოსწავლის თვითშეფასებას და თავდაჯერებულობას, ასევე ემოციების უკეთ მართვას. ის აძლიერებს ლოგიკურ აზროვნებას, კრეატიულობას და წარმოსახვას. ავითარებს მოტორულ უნარებს. სულ უფრო პოპულარული ხდება განათლებაში რობოტიკის დანერგვა, რაც მნიშვნელოვანსა და აუცილებელს ხდის მოსწავლემ შეისწავლოს ელექტრონიკა, პროგრამირება, მექანიკა. კვლევებით დადგენილია, რომ მომავალი თაობის 65% სამომავლოდ განიხილავს პროფესიებს, რომლებიც ჯერ არ არსებობს და რომლებიც წარმოიქმნება მზარდი ტექნოლოგიური საჭიროებების გამო.

STEM სწავლებას აქვს განვითარების კოგნიტიური უპირატესობები, უბიძგებს მოსწავლეებს, იფიქრონ ჩარჩოს მიღმა და მოისაზრონ პრობლემების კრეატიული გადაწყვეტილებები. მარტივად პასუხობენ კითხვებს „რატომ“ და „როგორ“. მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის გაჩენა გულისხმობს, რომ სამომავლოდ ისინი უფრო მოწადინებულნი იქნებიან ექსპერიმენტებისა და ახალი აღმოჩენებისათვის. მეტ დროს და ენერგიას დახარჯავენ საკუთარი განათლებისათვის.

STEM-ის საშუალებით მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ უფრო ეფექტურია ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარების გამოვლენა საერთო მიზნების უფრო სწრაფად მისაღწევად. როდესაც ბავშვები მუშაობენ გუნდზე ორიენტირებულ გარემოში, სწავლობენ, როგორ იმუშაონ თანატოლებთან, მზად არიან კავშირების დასამყარებლად მომავალ კარიერასთან დაკავშირებულ და ქსელურ საინტერესო ღონისძიებებში.

სახალისო კონკურსი „მოაზროვნე“ მნიშვნელოვანი მოსწავლეთა 17%-ისთვის. კონკურსი
„მოაზროვნე“ გახლავთ ჩემი ავტორობით შექმნილი პროექტი. მოსწავლეები სახალისო, ლოგიკაზე დაფუძნებული კითხვებით იღრმავებენ ცოდნას ფიზიკასა და მათემატიკაში. „მოაზროვნე“ დაფუძნებულია კონკურენტული სწავლების ფორმაზე. კონკურენცია ხომ საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სწრაფად მიაღწიონ შედეგს. ხელს უწყობს მოსწავლეებში სწრაფი აზროვნების განვითარებას. სტიმულს აძლევს მათ წინსვლას, პროგრესს. მოსწავლეებს უჩნდებათ ლიდერობის სურვილი.

კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა დამოუკიდებლად და სწრაფად აზროვნების უნარების განვითარებას; ისინი ერკვევიან საკუთარ შესაძლებლობებში. ასევე, ხელს უწყობს

მოზარდის მიზანდასახულობას და მოტივაციის ამაღლებას, სხვისი ცოდნისა და ერუდიციის პატივისცემას.

მსგავსი კონკურსები შესაძლებელია ჩატარდეს ნებისმიერი საგანში ან საგნობრივი მიმართულების გათვალისწინებით.

კონფერენციებს უპირატესობას ანიჭებს მოსწავლეთა 8%. სასწავლო კონფერენცია ხელს უწყობს, მოსწავლეს განუვითარდეს დამოუკიდებლად მუშაობისა და ნაშრომის საჯაროდ პრეზენტაციის უნარი. არჩეული თემის ირგვლივ იძენენ ღრმა თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნას. ასეთი ღონისძიების ჩატარების დროს უნდა გავითვალისწინოთ მოზარდთა ინტერესები, ამიტომ სასურველია კონფერენციის იდეა მოიცავდეს ყველა საგნობრივ მიმართულებას. თავად აარჩიონ, საგანი, თემა, ხელმძღვანელი. ასეთ პირობებში ისინი უფრო თავისუფალი და ლაღი ხდებიან – სიხარულით ამზადებენ პრეზენტაციებს და ასევე სიხარულით ელოდებიან კონფერენციის ჩატარებასა და იმ პრიზებს, რომლებსაც დამსახურებულად მოიპოვებენ.

მოსწავლეთა 8%-ისთვის ყველაზე მისაღებია პროექტებით სწავლება. პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. პროექტით სწავლება იძლევა აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრაც უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც აქვს მას. ამ მიზნით იგი არკვევს, რისი ცოდნაა საჭირო დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად. ამ პროცესში მოსწავლე აქტიურია, მიმართავს თვითგანათლებას, ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას და ახერხებს მის გადაჭრას.

21-ე საუკუნის მოსწავლისათვის ცოდნის დაგროვებასთან ერთად მნიშვნელოვანია იმ უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკურენტუნარიანსა და წარმატებულს გახდის. სასწავლო პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომლის დროსაც ვითარდება შემოქმედებითი, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო და კვლევითი უნარები.

პროექტებით სწავლება ასევე ხელს უწყობს საგანთაშორის კავშირებს და სწავლების ინტეგრაციას. საინტერესოა მოსწავლეებმა იმუშაონ როგორც სასწავლო კვლევით, ასევე სოციალური ხასიათის პროექტებზე. სწორედ ამ კონტექსტების გათვალისწინებითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტებით სწავლება.

მოსწავლეთა 5%-ისთვის ყველაზე საინტერესო ინტეგრირებული გაკვეთილებია. სამეცნიერო დარგების მრავალფეროვნების მიუხედავად, სამყარო ერთიანია და საერთო კანონზომიერებებს ემორჩილება. სხვადასხვა საგნად დანაწევრებული სამყაროს აღქმა და სწავლა მოზარდისთვის არ არის მარტივი. ჩვენი მიზანი არ არის ახალგაზრდებს მხოლოდ ცალკეული საგნები ვასწავლოთ, არამედ ჩვენ ისინი უნდა მოვამზადოთ და აღვზარდოთ საღად მოაზროვნე ადამიანებად. მოზარდს უნდა განვუვითაროთ სააზროვნო უნარები, რათა მათ შეძლონ ცალკეულ დისციპლინებში ნასწავლი კონცეფციების სინთეზი.

სკოლაში ბავშვები ბევრ ისეთ საგანს სწავლობენ, რომლებიც ერთმანეთთან ნაკლებად არის დაკავშირებული. განათლების მიზანია, მოსწავლეებს სკოლის დასრულების შემდეგ დამოუკიდებელი ფრაგმენტებისგან სამყაროს მთლიანობის წარმოდგენა შეექმნათ. სწორედ ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, პედაგოგები პერიოდულად ახორციელებდნენ ინტეგრირებულ აქტივობებს. ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანი და დანიშნულებაა, მოსწავლეებს ვაჩვენოთ, ავუხსნათ და დავაფიქროთ იმაზე, რომ მეცნიერების ყველა დარგი ემსახურება კაცობრიობის განვითარებას და ადამიანს, რათა მან სამყარო აღიქვას როგორც მთლიანობა.

ვფიქრობ, კვლევაში დაბალი პროცენტული მაჩვენებლის (5%) გაზრდა შესაძლებელია მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებით.

შესაძლებელია, ჩემს კვლევაში განხორციელებული და განხილული აქტივობების გარდა, ზოგიერთი მოსწავლისთვის სხვა რამ იყოს პრიორიტეტული. ამიტომ მასწავლებელი განუწყვეტლივ უნდა აკვირდებოდეს საკუთარ მოსწავლეებს და მათ მისწრაფებებს, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობაში.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შეიძლება, ერთ კონკრეტულ მასწავლებელს გაუჭირდეს ყველა ამ მიმართულების დაფარვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. ამიტომ, სასურველია, წლის დასაწყისში პედსაბჭოსა და კათედრის სხდომებზე მოხდეს პედაგოგთა ერთიანი სამუშაო გეგმის შედგენა, აქტივობების გადანაწილება. მთავარია, ასეთი ან სხვა უკეთესი და საინტერესო აქტივობები აუცილებლად შევთავაზოთ მოსწავლეებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ეროვნული სასწავლო გეგმა;

https://rb.gy/lqf70t

https://rb.gy/pd9jrc

https://rb.gy/dyitjr

https://rb.gy/pmjgr3